

1
1964

მედიკალიზაცია

საქართველოს
გონ-ბიროსთვის




მასკინძელმა, როგორც ჟისი, მოიხადა თავის ვალი., ახლა სიტყვა სტუმრებზეა — მოვცენ უხვი მოსავალი.

№ 3 თბილისი თებერვალი 1964

საქ

გამოცემის 41-ე წელი. ფასი 20 კპ.



სახალხო და უხალხო თეატრი.

შეწყვეტილი ფიქრები

ქბილის ტყვამ ცოფიანივით გამომავლო ქუჩაში. ტაქსის გაჩერება. ათიოდე კაცს მე-თაურივით დავეუდღევი წინ და მარჯვენა ხელი, ყველას დასანახად, მარცხენა ლოყაზე ავიკარი.

- არ გიშველის ვე თინი!..
- რა!... — ამოვიღრიალე.
- რა და... ფლაგი!
- რიგი უნდა იცოდეთ, ახალგაზრდა! — ზრდილობიანად მომმართა ძია კაცმა.
- ვიცი, ბატონო! — მივეუბნე და მეფერთმეტე ადგილზე მოკრძალებით გადავინაცვლე. იმ წუთში ჩემი ლექტორი დამიღდა თვალწინ. იმანაც ასე იცის თქმა:
- ეს საკითხი უნდა იცოდეთ, ახალგაზრდა! — დავუშვათ და ჩემი ლექტორი ყოფილიყო ეს კაცი. როგორ უნდა განმეზარტა „რიგი“?
- რიგი ფრთხილად უნდა მოთმინებით დგომას ნიშნავს, პატივცემულო!... ასჯერ გადავუჭიკო პასუხი, მეტყუდა და მარტო სამიანს დამაჯერებდა. ვიდრე გამოცდას ჩავაბარებდი, რიგს ორი კაციღა მოაკლდა. მეტად უსიამოვნოდ შევიშმუშნე და ადგილს შურთხივით მოვწყდი. ყაჩაღივით ვეცი ვერძო მანქანის კარს.
- პოლიკლინიკა... პოლი!...

სასიამოვნო ქროლვას მოულოდნელი დაბრ-

კოლემა გადავლო: ფერგახუნებული ავტობუსი ჯაგლაგივით იდგა. მის გვერდით ცალტროსვადმოვდებული ტროლეიბუსი წინ და უკან ნაპერწკლებს ყრიდა. ხალხი ღია კარებს მისვოდა:

- ეი, ბიჭო, გადადგი ფეხი წინ!
- აუპ, მომკლა ამხელა კაცი!...
- ხო, ხო... მახათივით არ გამირჭო ქუსლი?!
- ვაიმე, მაპატიეთ! — ბოდიშობდა გოგონა.
- აითრიეთ ახლა ტანი... თორემ წავიდა!...
- გატენილმა მანქანამ ძლივს გაითრია ტანი.
- და უცებ „რიგის“ განმარტება აღმოვაჩინე.
- რიგი ისაა, რაც ჯერ არავის უნახავს თბილისის ავტობუსებისა და ტროლეიბუსების გაჩერებებთან!.. გენიალურია! ამაზე ფრიადსაც დამიწერს ლექტორი. თბიქტური კაცია.
- მალე სტომატოლოგის რბილ სკამზე მიკრულივით ვიჯექი. პირი გახევაამდე მქონდა დაღებული. თავზე კი... ქერაკულულებიანი ახალგაზრდა ექიმი დამტრიალებდა. უკვე აღარ იყო ფიქრის თავი.

ა. ბარამია



მსუბუქი მუსიკა.

ბ. 64

ქალაქი

უვაპი და გულგული. ბიზნესი

უვაპი კონსერვატორია დაამთავრა და მომღერალ-მა დასში ბულბულის თანამდებობაზე მოეწყო.

მეორე წელს ბულბულიც მოვიდა. იგი ტკბილად გაისტუმრეს: რა გეჩქარება, სიცოცხლის 28 წელიწადი კიდევ წინა გაქვს ჯერ. როგორც კი უვაპი პენსიაზე გადა, დიდი სიამოვნებით მივიღებთო.

ბულბული დაბრუნდა ბუდეში და იცდის, როდის შეუსრულდება უვაპს 300 წელი და როდის გავა პენსიაზე.

ნეპტარი და ნესტარი

თათბირზე, რომელიც თავლის დამზადებისათვის მზადებას მიეძღვნა, სხვათა შორის, ფუტყარიც მიიწვიეს. მან ვერ შეიფერა დაფასება, ნეპტართან ერთად ნესტარიც გამოაჩინა და მაგრად გააკრიტიკა დათვი და სხვა თავლიბარია ამხანაგები.

თათბირმა მიიღო სათანადო ღონისძიება: ფუტყარი ნესტარის გამო განათავისუფლეს თავლის დამზადების მოვალეობისაგან და მის ნაცვლად დანიშნეს ამხანაგი პეპელა, როგორც უწყინარი და უვაპილების დიდი სპეციალისტი.

დათვი საზაფხულოდ უწყინარ თავლს ელოდება.

ა. ბასილია

უკულა ნათარგმანები

ალბათ, საკმაო გზას გაივლიდა, ტყემლის კომპოტის ეტიკეტი, ვიდრე ქილაზე მიეკვრებოდა და სარეალიზაციოდ ბაზარზე გავიდა.

პირველად, რა თქმა უნდა, კასპის საკონსერვო ქარხნის მუშაეები მოიჩიოდნენ, ტყემლის კომპოტი ავითვისეთ და ეტიკეტი გვეჩრდებოთ. შემდეგ,



ალბათ, მიმართავდნენ სააკოპმშენის ტრესტის სამხატვრო საარეკლამო წარმოებას, ჩვენ საკონსერვო ქარხანას — ტყემლის კომპოტის ეტიკეტი ესაჭიროება და თქვენ იცით და თქვენმა ვაყვაცობამაო, მერე საარეკლამო წარმოება, რომელიმე მხატვარს დაავალებდა, ერთი ისეთი ტყემლის ეტიკეტი გააკეთე, რომ ჩარჩოში ჩასასმელი და ოთანში დასაკიდებელი იყოსო. მხატვარიც დაჯდებოდა და სახატავად და წარუდგენდა საარეკლამო წარმოებას. საარეკლამო წარმოება მოიწონებდა, დაადებდა რეზოლუციას და შემდეგ დაიწყებოდა მისი ბეჭდვა სტამბათო.

და აი ბაზარზე გამოჩნდა ტყემლის კომპოტი, რომელზედაც რუსულად აწერია Компот ткемали. ჩვენ მხატვრულ ღირსებაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ამ ეტიკეტს რომ აყვავეთ, კაკლის მურაბა უნდა გამოვთქვათ მურაბა კაკალი, ჯივრის ყაურმა, ყაურმა — ღეიგარი. ყურძნის წვენი — ცვენი ყურძნის, ღორის მწვადი — მწვადი გორი, ხოლო ტყემლის კომპოტი — კომპოტი ტკემალი.

არა, კომენტარები ზედმეტი არ არის! ამიტომ გვინდა ვთქვათ, — თუ კარტული არ ეკერებათ საარეკლამო წარმოებაში, მიიცივინოთ ის, ვისაც დაუღუდას სცორი ტარგმანა.

გზაგადასასრული

პიონირთა ნიანგი ადრე კასპის რაიონის სოფელ ვარჯაანის მცხოვრებნი კასპში რომ ჩამოგვასახლეს, კმაყოფილები ვიყავით. მაგრამ დიდხანს არ გასტანა ჩვენმა კმაყოფილებამ. ჯერ რამდენიმე წელი უსინათლოდ გავატარეთ. შემდეგ, როგორც იყო, გვაღირსეს ელექტროდენი, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ სინათლეს, როდესაც დილით გაღვიძებისას, ელექტროდენი გამორთული გვხვდება, ხოლო საღამოს ისეთ დროს ირთება, როცა უკვე ძილის დროა მოტანებული. 500-600 კომლი ცხოვრობს ჩვენ უბანში და ვერც რადიოს უსმენს, ვერც ტელევიზორს უყურებს. ახლა სასმელ წყალს თუ იკითხავ, რომ დაგანახა ჩვენი უბნის მცხოვრებლები ზურგზე კოკამოკიდებული, ნამდვილად შეგებრალდება. ზოგს ხელის ურემი გაუკეთებია და იმით ეზიდება სასმელ წყალს. ზაფხულში კიდევ არა გვიშავს, მაგრამ ზამთარს რა მოუჭერსოთ. ან ხანძრის შემთხვევაში ვის მივმართოთ, ვინ გვიშველის, გვიპასუხე, ძმო ნიანგო.

აზხანაზო ნიანგო ელბათ, ყვარლის რაიონის სოფლების — ოქტომბრის, ჭიკაძის და გავაზის მესვეურები ცხოვრებაში პირდაპირი გაგებით ასორციელებენ ანდაზას „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა“. და დღემდის აიძულებენ აღნიშნული სოფლის მცხოვრებლებს, არ უღალატონ ტრადიციას და ისევ ძველი გზით იარონ. მაგრამ არ იკითხავ, როგორია ეს ძვე-

ლი გზა? თხრილები და ორმოები ისეა გაფანტული მთელი ათი კილომეტრის მანძილზე, გვერდებია მწვანე ნარგავების დარგვა განუზრახავით. ფხვით მოსიარულეს კიდევ შეუძლია ამ დაბრკოლებათა გადალახვა, მაგრამ ამ გზაზე ცვეკით მიმავალი ავტობუსი რომ განახა, გაგეცინება. თქვენ როგორ ფიქრობთ, რაიონის შესაბამისმა ორგანოებმა არ იციან ამის შესახებ? იციან და დადგენილებებსაც წერენ, გზა გაკეთდესო, მაგრამ შესრულებას ისე უფრთხიან, როგორც ჩვენი ავტობუსი ამ გზაზე გავლას. იქნება გვიშველო რამე ძმო ნიანგო.

ყვარლის რაიონი, **ზ. კაიზაური**

ჩვენს ნიანგო! ჩვენთან ჭიათურაში თუ ჩამოხვალ, ბევრ სინტერესს და საკბილოს წააწყდები. თუნდაც ტრანსპორტის მუშაობა ავიღოთ. სამგზავრო ავტობუსები მძღოლების პირად განკარგულებაშია და მათთვის არავითარი განრიგი არ არსებობს. ხშირად ბილეთები არ იყიდება. ჭიათურა-საჩხერის მიმართულებით დანიშნული ავტობუსი ვერ აუდის მგზავრობა გადაყვანას. საჩხერის ავტოსატრანსპორტო კანტორის ცუდი მუშაობის გამო, მგზავრები ყოველგვარი ტრანსპორტით სარგებლობენ, გარდა ზემოთ აღნიშნული კანტორის ტრანსპორტისა. სატორ-

თო ტაქსები ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო, თუ სადმე მსუბუქი ტაქსი გაჩნდა, მძღოლი აწესებს ფასსაც და მიმართულებასაც. მგზავრების მოსაცდელის მოწყობაზე არავინ ზრუნავს. საჩხერის რაიონის სოფელ კოლბოურს თავისი ელსადგური ჰქონდა, რომელიც ნორმალურად მუშაობდა. ომის პერიოდში ელსადგური გაუქმდა, ხოლო შემდეგ ახალი ელსადგური აშენდა, რომელიც წლების განმავლობაში უყურადღებობის გამო, თითქმის განადგურდა. ამჟამად მაღალმანქანის დენის გაყვანა დამთავრდა და 1962 წლის 7 ნოემბრისათვის უნდა შესულიყო ექსპლუატაციაში, მაგრამ დღემდე არაფერი ეშველა.

ჭიათურის მუშათა დასახლების ერთ ერთ უბანში 13 რვაბინიანი და ერთი ოცბინიანი საცხოვრებელი სახლია აგებული. ამ ბინებს აქვს ცენტრალური გათბობის გაყვანილობა, საორთქლე ქვაბები, საკვამურები, მაგრამ ამ საკვამურში ამოსული კვამლი ჯერ არავის უნახავს. საორთქლე ქვაბის საცავი საკომისიო მაღაზიის საწყობადაა გამოყენებული.

ძმო ნიანგო! იქნებ დაგვეხმარო ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

ი. გომოლაძე


აქტიური მოქალაქე

...რომ ქ. თბილისში, 26 კომისიის სახელობის რაიონში, არსებობს პატარა ქუჩა, რომელსაც მანავის ქუჩას ეძახიან. ამ ქუჩის თავს ქვაფენილი ამშვენებს, ქუჩის ბოლო მოასფალტებულია, ხოლო შუა ნაწილში ისევ ტალახი და უსუფთაობა ბატონობს. რატომ? კითხვობენ გაოცებული მკითხველები. როგორც ჩანს იმიტომ, რომ მოსახლეობა თვალნათლივ დარწმუნდეს ქვაფენილისა და ასფალტის უპირატესობაში ტალახის წინაშე. როგორც ქუჩის მცხოვრებლების განცხადებებიდან სჩანს, ისინი დიდი ხანია დარწმუნდნენ ამ უპირატესობაში და მოითხოვენ ქუჩის შუა ნაწილის კეთილმოწყობას.

...რომ ჩაქვის რაიონის სოფელ ბობოყვას, — სადაც 400-ზე მეტი კომლი ცხოვრობს, აქვს კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, ჩაის ფაბრიკა, შემფუთავი ქარხანა და, რაც მთავარია, მთლიანად მოასფალტებული გზა. სოფლის მცხოვრებლები ამტკიცებენ, თითქოს კარგ გზას კარგი ავტობუსი მოუხდება და დაამშვენებსო, მაგრამ ქ. ქობულეთის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკები სრულიად საწინააღმდეგოს ფიქრობენ. მათ მიაჩნიათ, რომ გზა უავტობუსოდ უფრო დიდხანს სძლებს შეუკეთებლად, ხოლო ავტობუსი უგზოდ. სოფლის მცხოვრებლებმა დღეადის ვერ შეიგნეს ეს ელემენტარული ჭეშმარიტება და ჯიუტად ელიან ავტობუსის გამოჩენას.

...რომ ქ. ბათუმის კიროვის ქუჩა № 57-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, სადაც რკინიგზელები ცხოვრობენ, აგებულია ჯერ კიდევ 1936 წელს. როგორც ყველა საცხოვრებელ სახლებში, აქაც გაყვანილია წყალსადენი მილები საკუჭნაოებში და საერთო მოხმარების ოთახებში, მხოლოდ იმ განსხვავებით. რომ წყალი აღნიშნული სახლის პირველ სართულს არ სცილდება და ზემო სართულში არასოდეს არ ადის. რკინიგზის სახლმმართველობას დღე-

მდის ვერ აუხსნია წყლის ამ ჭირვეულობის მიზეზი, ხოლო, რაც შეეძება თვით სახლის მცხოვრებლებს, ისინი შურის თვალთ შესცქერიან მეზობლად მდებარე კეთილმოწყობილ შენობებს და უსიტყვოდ ეზიდებიან წყლით სავსე ჭურჭლებს ზემო სართულში. ეს საქმიანობა განსაკუთრებით მოხუც რკინიგზელებს ახარებთ და სახლმმართველობის მუშაკებისადმი მაღლიერების ვრძნობას გამოხატავენ.



ჯარიმა

...რომ № 35-ა ავტობუსმა, რომლის მარშრუტია კოლმეურნეობის მოედანი — მესამე მასივი-მეტალობაზა მოკლე დროში კახეთის გზატკეცილზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით აღნიშნული ავტობუსების მძღოლები ცდილობენ დილის 9 საათზე ადრე არ დაიწყოთ მუშაობა, რათა საშუალება მისცენ მცხოვრებლებს, როგორც თავისივე ფხვით მიაღწიონ სამსახურამდე და დილით ზედმეტი სმარტით არ შეწუხდნენ. მაღლიერი მგზავრები ვალში არ რჩებიან მოსიყვარულე ავტობუსის მძღოლებთან და სამსახურის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობის მოედანზე საათობით უცდიან მათ გამოჩენას. მართალია, ზოგიერთი ავტობუსის მძღოლი თვითნებობით გამოირჩევა, ხშირად ბოლო გაჩერებამდე მისვლა არ სურს, ეგზავრს უხეშად ექცევა და განრიგს არღვევს, მაგრამ მგზავრები ყოველივე ამას ჯერჯერობით წარმატებით ითმენენ. მგზავრებთან ერთად ამ ამბავს იმ ავტოკანტორის ხელმძღვანელებიც ითმენენ, რომელსაც № 35-ა ავტობუსების მოძრაობის მოწყობილება ეხება.

...რომ ამბროლაურის რაიონის სოფ. ბაჯისხევში მცხოვრებთა ყველა ოჯახში 1956 წლიდან გაყვანილია რადიოსახლი და ყველგან აქვთ რადიორეპროდუქტორები, ზოგს მაგიდაზე, ზოგს თაროზე, ხოლო ზოგს ედღეს, მაგრამ დღემდის არცერთი მათგანი ხმას არ იღებს. მიუხედავად ამისა, ბაჯისხევის მოსახლეობა იმედს არ კარგავს, რომ ამ საქმეს სათანადო ყურადღება მიექცევა.

...საჩხერის რაიონის სოფელ მოხორთუბნის მცხოვრებთა ელექტრონათურები, ელექტროგაყვანილობის მოუწყობილობის გამო, განათების მაგიერ, დარცხვნილები იღიმებიან. არ ელიმებათ მხოლოდ სოფლის მცხოვრებლებს.

რედაქტორი **ნ. შველიძე**. სარედაქციო კოლეგია: **ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე**. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. I/II-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შევ. № 141. უფ. 04074. ტირაჟი 40.000

პანამის ამბები ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მძარცველური პოლიტიკის შედეგია... პანამის ხალხი, პანამის მშრომელები იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის. მათ უნდათ განთავისუფლდნენ ამერიკის იმპერიალისტების უღლისაგან.

(ახ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოქმული სიტუვიდან ქ. კალინინში)

მწვანე პანამის არხში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
№ 93
მიღოვდა 1967
10/1 შალი

